სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საჭიროებების კვლევა

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საჭიროებების კვლევა

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

თბილისი
2021

ანგარიში მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ, „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია საია და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას.

კვლევის ხელმძღვანელები: მერაბ ქართველიშვილი
ნინო ბაღაშვილი

კვლევის ავტორები: გიორგი ჭანტურია
მერი ქადაგიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია / იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი

ძირითადი თემები

სახელმძღვანელოს ავტორების პროფესია:
მოტივაცია და ძირითადი გამოწვევები 7

სახელმძღვანელოს ავტორების საჭიროებები
სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში, თანასწორობის
და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით 13

ძირითადი რეკომენდაციები 17

შესავალი

2019-2020 წლებში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის ინიციატივით განხორციელდა კვლევა: „ზოგადი განათლების სისტემაში სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პოლიტიკის კვლევა თანასწორობის უზრუნველყოფის და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში“.[1] სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასებასთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული გამოწვევების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმძღვანელოს ხარისხის, მათ შორის, თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში ინვესტირება, ავტორების მომზადება, მათი კომპეტენციისა და მოტივაციის გაზრდა.

აქედან გამომდინარე, ამ კვლევის მიზანია სახელმძღვანელოს ავტორების საჭიროებების ანალიზი როგორც მუშაობის პროცესის ორგანიზების, ისე კომპეტენციების განვითარების კუთხით. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები აღწერს რესპონდენტების პოზიციას, აღქმებს და დამოკიდებულებებს.

კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, წარმოდგენილი მიგნებები მოიცავს მხოლოდ რესპონდენტების მოსაზრებებს და არ იძლევა ავტორების სრულ შემადგენლობაზე განზოგადების საშუალებას. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე სხვა ჩართული მხარეებისთვის შემუშავებული პრაქტიკული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს როგორც ავტორთა საჭიროებების შესახებ დისკუსიის აქტუალიზაციას, ისე არსებული გამოწვევების დაძლევასა და პროფესიული საქმიანობის პოპულარიზაციას.

[1] საიას კვლევა „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ (2020). ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vIRbOK.

კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო

წინამდებარე კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდოლოგიით, პირისპირ სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებოდნენ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები. სულ გამოიკითხა 10 ავტორი, მათ შორის: ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს - 3, საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, სამოქალაქო განათლება) - 6 და ქართულის, როგორც მეორე ენის - 1 ავტორი.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ინტერვიუები ჩატარდა ონლაინ, პლატფორმა ზუმის გამოყენებით.

ავტორების შერჩევის დამატებით კრიტერიუმები წარმოდგენილია ცხრილში:

ცხრილი 1. რესპონდენტების შერჩევის ჩარჩო

კრიტერიუმი	**კრიტერიუმის აღწერა**
გამოცდილება	< უმუშავია 1 სახელმძღვანელოზე მაინც
	> უმუშავია რამდენიმე სახელმძღვანელოზე წლის მანძილზე
კვალიფიკაცია	პრაქტიკოსი მასწავლებელი
	სამეცნიერო მუშაკი
	სხვა პროფესიის წარმომადგენელი
პროდუქტი	გრიფირებული სახელმძღვანელო
	გრიფის არმქონე სახელმძღვანელო

ინტერვიუსთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც 2 ძირითადი ბლოკისგან შედგებოდა: (1) სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში ავტორების ძირითადი პრობლემები და საჭიროებები; (2) სახელმძღვანელოების ინკლუზიურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გამოწვევები. თითოეულ ბლოკში ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში ავტორების წინაშე არსებული გამოწვევები;
- კომუნიკაცია ჩართულ მხარეებთან და ავტორების მიერ დახმარების მიღების შესაძლებლობები;
- ავტორების მოტივაცია;
- სახელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის საჭირო კომპეტენციების ფლობა/განვითარება;
- სახელმძღვანელოს ინკლუზიურობის კონტექსტში არსებული გამოწვევები და მხარდაჭერის, მათ შორის, საჭირო ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობები (**იხ. დანართი 1).**

შედეგების ანალიზი ეყრდნობა რესპონდენტების მიერ პირდაპირ მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე ინტერვიუს დროს დაკვირვების საფუძველზე მიღებულ ლატენტურ შინაარსს, რაც გულისხმობს იმის შეფასებას, თუ როგორ რეაგირებენ რესპონდენტები სხვადასხვა თემის განხილვაზე და გამოხატვის რა ფორმებს, მაგალითებს ან ასოციაციებს იყენებენ.

ძირითადი მიგნებები

- *სახელმძღვანელოს, სასწავლო რესურსების ავტორობა არ არის მიმზიდველი საქმიანობა, რაც, გამოკითხული ავტორების შეფასებით, დაბალი ჰონორარით და რთული სამუშაო პროცესით არის განპირობებული. მეორე მხრივ, ავტორობა არ აღიქმება მასწავლებლებისა და განათლების სფეროში მომუშავე პირებისთვის კარიერული და პროფესიული განვითარების ერთ-ერთ ალტერნატივად.*
- *სახელმძღვანელოების არსებული და პოტენციური ავტორებისთვის არ არსებობს პლატფორმა, რომლის დახმარებითაც საშუალება ექნებათ, ერთმანეთს ნამუშევრები გაუზიარონ, მიიღონ კოლეგის პროფესიული უკუკავშირი, იმუშაონ საერთო პროექტებზე და ხელი შეუწყონ საქმიანობის პოპულარიზაციას.*
- ***სახელმძღვანელოს ავტორობით დაინტერესების პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება** მოქმედ მასწავლებლებს შორის, განსაკუთრებით, ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და, ასევე, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით.*
- *სახელმძღვანელოს ავტორებისთვის გრიფირების პროცესის ადმინისტრაციული სირთულეების გარდა, **ახალი გამოწვევაა დისტანციური სწავლების შედეგებთან გამკლავება, ონლაინ რესურსების შექმნა და სახელმძღვანელოს შინაარსთან ადაპტირება.***
- *სახელმძღვანელოს ავტორები გამოწვევად მიიჩნევენ სახელმძღვანელოში თანასწორობის პრინციპების სრულყოფილად დაცვას, განსაკუთრებით, შინაარსის ცვლილების/ადაპტირების, სწორი ტერმინების შერჩევის, ინკლუზიური აღწერის მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.*
- *სახელმძღვანელოს ავტორების ნაწილის მგრძნობელობა ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპების ასახვის სხვადასხვა ასპექტის მიმართ დაბალია. ეს ყველაზე მკაფიოდ იკვეთება გენდერული თანასწორობის, ასევე ეთნიკური, რელიგიური და სხვა ნიშნით უმცირესობების შესახებ მსჯელობისას.*
- *სახელმძღვანელოს ავტორებსა და გენდერის/ადამიანის უფლებების სპეციალისტებს შორის უკუკავშირის პროცესი, ძირითადად, ორიენტირებულია პრობლემების იდენტიფიცირებაზე და ნაკლებად - ავტორებისთვის ტექსტების/დავალებების სწორად მოშზადების მიმართულებით რეკომენდაციების მიწოდებაზე.*
- *ავტორების დიდი ნაწილისთვის ადამიანის უფლებების, თანასწორობის პრინციპებისა და დისკრიმინაციისგან დაცვის შესახებ სანდო ინფორმაციის წყაროები არ არის ცნობილი. ასევე დაბალია მათი მხრიდან ამ პროფილით მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.*

სახელმძღვანელოს ავტორების პროფესია: მოტივაცია და ძირითადი გამოწვევები

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე რეფორმების მრავალი ტალღის და, მათ შორის, სახელმძღვანელოების პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მათი შემუშავებისა და შეფასების სისტემა კვლავ უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. ეს ნეგატიურად აისახა სახელმძღვანელოების ავტორობის, როგორც პროფესიული მიმართულების განვითარებაზეც.

კვლევის ფარგლებში სახელმძღვანელოების ავტორების 3 განსხვავებული პროფესიული ჯგუფი გამოიკვეთა:

1. **სამეცნიერო-აკადემიურ საქმიანობაში ჩართული პირები:** ტრადიციულად, საქართველოში სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები ყველაზე ხშირად იყვნენ აკადემიკოსები და მეცნიერ-მუშაკები, განსაკუთრებით კი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით. ამ ავტორებისთვის სახელმძღვანელოზე მუშაობის მოტივაცია დაკავშირებულია, ერთი მხრივ, დარგობრივი ცოდნის აღწერასა და გაზიარებასთან და, მეორე მხრივ, გარკვეული ტრადიციის, „მემკვიდრეობითობის“ პრინციპის შენარჩუნებასთან. ავტორებისთვის მუშაობის პროცესში ძირითადი პრიორიტეტი არის დარგობრივი ცოდნის, შინაარსის სრულყოფილი აღწერა, ტექსტის ტექნიკური გამართულობა.

2. **პრაქტიკოსი მასწავლებლები:** პრაქტიკოსი მასწავლებლების ჩამოყალიბება ავტორებად მზარდი და პოზიტიური ტენდენციაა, განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მეცნიერებებსა და სახელმწიფო ენაში. მათი მოტივაცია დაკავშირებულია სახელმძღვანელოს გაუმჯობესებასთან, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინტერესზე მორგებასთან, ასევე პროფესიული ავტორიტეტის განმტკიცებასა და პროფესიული წრის გაფართოებასთან. მუშაობის პროცესში მათი ძირითადი მიდგომაა სახელმძღვანელოს პრაქტიკულ საჭიროებებთან მისადაგება, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრა და მოსწავლეებისთვის საინტერესო, ახალი, თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება.

3. **სხვა სექტორის თემატური სპეციალისტები:** ეს ჯგუფი აერთიანებს ყველა იმ ავტორს, რომლის ძირითადი საქმიანობა არ უკავშირდება არც აკადემიურ სფეროს და არც სკოლას. მათ შორის არიან სოციოლოგები, განათლების სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით, იურისტები, პოლიტიკის ექსპერტები და სხვა. ამ ადამიანების პროცესში ჩართვის ძირითადი მოტივაცია დაკავშირებულია არა იმდენად კონკრეტული სახელმძღვანელოების გაუმჯობესებასთან, არამედ ახალი მიდგომების, იდეებისა და ღირებულების პოპულარიზაციასთან, განათლების სისტემასთან დაახლოებასა და მოძველებული, ნეგატიური სოციალური ნორმების ცვლილებებთან. მუშაობის პროცესში მათი მთავარი მიზანია, სახელმძღვანელოები ხელს უწყობდეს ნეგატიური სოციალური მიდგომების აღმოფხვრას, იმავდროულად, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეხმარებოდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული ავტორებისთვის სახელმძღვანელოზე მუშაობა, ზოგ შემთხვევაში, არის არა ძირითადი, არამედ დამატებითი - მე-2, მე-3 რიგის საქმიანობა. შესაბამისად, რთულია ისეთი ავტორის მოძიება, რომელიც ამ სამუშაოს თავისი დროის 25-30%-ზე მეტს დაუთმობს, პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვის ჩათვლით.

ეს, მეტწილად, განპირობებულია ავტორების არასათანადო ანაზღაურებით, სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებით და ამ სფეროს მიმართ დაბალი ინტერესით (სახელმწიფო სტრუქტურების, საჯარო და კერძო ორგანიზაციების მხრიდან). ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ, არსებული მდგომარეობით, სახელმძღვანელოზე მუშაობა უფრო მეტად სოციალური პასუხისმგებლობის აქტია, ვიდრე შემოსავლის წყარო ან პროფესიული საქმიანობა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ავტორების მიერ სახელმძღვანელოს შექმნისა და შეფასების პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევები დიდწილად უკავშირდება ანაზღაურებას, ასევე, თავად პროცესის ადმინისტრირებას, მხარდაჭერასა და კომუნიკაციას.

სახელმძღვანელოს ავტორთა ჰონორარი და შრომითი პირობები: კვლევის ფარგლებში გამოკითხული ავტორები მიიჩნევენ, რომ ჰონორარის მოცულობა და გაცემის წესი, ერთი მხრივ, აბრკოლებს ახალი ავტორების მოზიდვას და, მეორე მხრივ, გავლენას ახდენს მოქმედი ავტორების მუშაობის მოტივაციასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

ავტორები იღებენ საბაზისო ჰონორარს, ფიქსირებულ, ერთჯერად გასაცემ თანხას, რომელიც ეფუძნება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საბაზისო ჰონორარის მოცულობა განსაზღვრულია ყოველი კლასისა და საგნის სახელმძღვანელოსთვის და მერყეობს 20 000-დან 30 000 ლარამდე (იხ. დანართი 2), რაც მოიცავს მის სრულ ღირებულებას გადასახადების ჩათვლით. საშუალოდ, ერთ სახელმძღვანელოზე მუშაობს 2-3 ავტორი 3 ან მეტი თვის განმავლობაში. გარდა საბაზისო ჰონორარისა, ისინი იღებენ დამატებით ფიქსირებულ ჰონორარს მასწავლებლის წიგნის ელექტრონული რესურსისა და, ასევე, დაბეჭდილი სახელმძღვანელოს ყოველი ერთეულისთვის, რაც განისაზღვრება სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე, ფასდაკლების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოების გრიფირების შესახებ 2018 წელს მიღებული ახალი წესის შესაბამისად, 1.5-ჯერ ან, ზოგიერთ შემთხვევაში, 2-ჯერ გაიზარდა ავტორების ჰონორარი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოსთვის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების მოსაზრებით, ალტერნატიული ხარჯი, რომელიც სახელმძღვანელოზე მუშაობას უკავშირდება (სამსახურიდან შვებულების აღება, სხვა სამსახურზე უარის თქმა, არასამუშაო დროს და ზეგანაკვეთური მუშაობა), ამ ანაზღაურებით არ კომპენსირდება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰონორარის გაცემის არსებული წესი არ განსაზღვრავს საქმის ხარისხობრივ მოცულობას, კერძოდ, არ არის გათვალისწინებული, რამდენ თემაზე იმუშავა ავტორმა ან ავტორთა ჯგუფმა. შესაბამისად, ჰონორარი არ იცვლება ნამუშევარი თემების რაოდენობის მიხედვით. ასევე მხედველობაში არ მიიღება შემთხვევები, როდესაც ავტორს უწევს წიგნის გადამუშავება მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პრაქტიკული კომპონენტების ცვლილების გამო.

რესპონდენტებისთვის პრიორიტეტულია საბაზისო, ფიქსირებული ჰონორარის ზრდა, ვინაიდან ყოველ დაბეჭდილ ერთეულზე მიღებული თანხის ოდენობის ცვლილება, მცირე ბაზრის პირობებში, მათთვის მნიშვნელოვან სხვაობას არ ქმნის.

„რა თქმა უნდა, თანხა გაიზარდა, მაგრამ, ძირითადად, ვინც ვმუშაობთ, ეს ჩვენთვის უფრო პირადი ინტერესი და ენთუზიაზმია, რომ უკეთესი სახელმძღვანელოებით ვასწა-

ვლოთ. ანაზღაურება იმდენად მცირეა, რომ პირადად ჩემთვის ის საერთოდ არ არის მოტივატორი ან დამაინტერესებელი“

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ სასკოლო სახელმძღვანელოს მომზადებისთვის გამომუშავებული თანხა ორჯერ მაინც ჩამოუვარდება ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დამხმარე რესურსების შესაქმნელად შეთავაზებული ჰონორარის მოცულობას.

არაგრიფირებული სახელმძღვანელოების გადამუშავება და გამოყენება: ავტორები, რომელთა სახელმძღვანელოებმაც გრიფირების რომელიმე ციკლის ფარგლებში გრიფი ვერ მოიპოვა, მიიჩნევენ, რომ სამინისტროს მხრიდან ამგვარი ნამუშევრების სრული უგულებელყოფა ხელს უწყობს კარგი რესურსის დაკარგვას, აუთვისებლობას და, იმავდროულად, ამცირებს ავტორების მხრიდან კონკურსში ხელახლა მონაწილეობის შესაძლებლობას. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც სახელმძღვანელო ვერ აკმაყოფილებს დაწესებულ სტანდარტს, თუმცა მისი ერთი რომელიმე თავი ან ცალკეული საკითხები მაღალი ხარისხით არის შესრულებული. ამის მიუხედავად, გრიფირების პროცესში არ ხდება მათი რაიმე ფორმით შეკრება, შესყიდვა ან/და, თუნდაც, ელექტრონული სახით სამინისტროს ონლაინ პლატფორმაზე განთავსება.

სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი და თანამშრომლობა ჩართულ მხარეებთან: სახელმძღვანელოების შემუშავება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული სასწავლო გეგმის განახლებაზე, ასევე განათლების სამინისტროს მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მოსწავლეების/მასწავლებლების შეფასების მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ავტორთა მოსაზრებით, გრიფირების ერთი ციკლის ფარგლებში ზოგჯერ მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება. შედეგად, ნებისმიერი მცირე სახესხვაობაც კი ტერმინოლოგიასა ან ამა თუ იმ ტაქსონომიის გამოყენების პრინციპში აორმაგებს ავტორის შრომას და აიძულებს მას, დასრულებული სახელმძღვანელო ახალ მოთხოვნებს მოარგოს.

„ჩემთვის, როგორც ავტორისა და მასწავლებლისთვის, ერთ-ერთი გამოწვევაა პროცესში გარკვეული დეტალების ხშირად შეცვლა, როგორიცაა, მაგალითად, სოლო ტაქსონომიის გამოყენება. ერთი ცვლილების გამო ყველა სტრუქტურა უნდა გადაიწეროს, რაც შრომას გვიორმაგებს [...] თუ გასული წელს დავიწყეთ ახალი სახელმძღვანელოთი სწავლება და ახლა შეიცვალა რამე, სულ ვფიქრობ, იქნებ მასწავლებლებს ჰგონიათ, მე ეს არ ვიცოდი და შეცდომაში შემყავს“.

(სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორი)

მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში ავტორებს უწევთ ახალი სახელმძღვანელოთი მასწავლებლებისთვის გარკვეული სიახლეების მიწოდება და მათგან უკმაყოფილების პირველი ტალღის მიღება. ზოგიერთი ავტორის შეფასებით, ხშირად მსგავსი მკაფიო და პირდაპირი კომუნიკაციის არარსებობა ავტორებს უბიძგებს კონფორმიზმისა ან კონკურსში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ.

ავტორებს შორის თანამშრომლობის სივრცის არარსებობა: სახელმძღვანელოების მოქმედი და პოტენციური ავტორებისთვის არ არსებობს პლატფორმა ან სივრცე, სადაც საშუალება ექნებათ, ერთმანეთს საკუთარი ნამუშევრები გააცნონ, მიიღონ პროფესიუ-

ლი და კონსტრუქციული განმავითარებელი უკუკავშირი, დაამყარონ სასარგებლო კონტაქტები, გამოცდილება გაუზიარონ ურთიერთს და ახალ ავტორებს, დაიწყონ ერთობლივი პროექტები. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ავტორები გამოწვევებზე საუბრისას ხშირად მიუთითებენ კოლეგებთან თანამშრომლობის დეფიციტზე, განსაკუთრებით კი, სიახლეების გაცვლისა და მათთან ადაპტირების კონტექსტში.

„მე რაც მაბრკოლებს, არის პროცესში უკუკავშირი. ვურეკავთ მასწავლებლები ერთმანეთს, აბა ამას შეხედე, ეს შემიფასე. ავტორებიც ვკითხულობთ ერთმანეთის ნამუშევრებს, მაგრამ მაინც თითქოს ჩაკეტილ წრეში ვართ. განსაკუთრებით, გამოცდილი კოლეგების შეფასება და რჩევები გვაკლია“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

კომუნიკაციისა და უკუკავშირის მიღების გამოწვევები გრიფირების კონკურსის ფარგლებში: ავტორებს სახელმძღვანელოზე მუშაობისას ურთიერთობა უწევთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გამომცემლობის გავლით ან მის გარეშე. გამომცემლობა ავტორისთვის ძირითადი დამხმარე რგოლია, თუმცა ამ მიმართულებით ავტორთა გამოცდილება არაერთგვაროვანია. გამომცემლობის მხარდაჭერა და ჩართულობა სახელმძღვანელოს გაუმჯობესების თვალსაზრისით დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად ავტორების პროაქტიულ კომუნიკაციაზე და, მეორე მხრივ, გამომცემლობის მოლოდინზე გრიფირების პროცესის მიმართ.

ავტორები, რომლებსაც აქვთ გრიფირების პროცესში მონაწილეობის ხანგრძლივი გამოცდილება, აღნიშნავენ, რომ 2019-2021 წლებში გაიზარდა სამინისტროს მხრიდან სახელმძღვანელოების ავტორთა მხარდაჭერა, რაც გულისხმობს უფრო ღია კომუნიკაციის შესაძლებლობას საგნობრივ/კურიკულუმის ექსპერტებთან, დარგობრივ და სხვა თემატურ სპეციალისტებთან შეხვედრების ორგანიზების გზით. თუმცა, მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, კვლავ გამოწვევად რჩება კომუნიკაცია ავტორებსა და შემფასებლებს შორის.

„ამ პროცესში დიდი ხანია ვმონაწილეობ და ბოლო წელი ნამდვილად უკეთესი იყო [კომუნიკაცია და მხარდაჭერა], მაგრამ მაინც ყველაფერი ავტორზეა დამოკიდებული. თუ ის თავად არ ეძებს კურსს, ტრენინგს, საკონტაქტო პირს, ხალხს არ აწუხებს, ბევრ ინფორმაციას ვერ მიიღებს, ან, უბრალოდ, გამორჩება“.

(ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი)

გრიფირების სხვადასხვა ციკლში ჩართული ავტორები იზიარებენ მოსაზრებას, რომ კონკურსის ფარგლებში შემფასებლისგან მიღებული უკუკავშირი არ არის საკმარისი, სახელმძღვანელოს განვითარებაზე ორიენტირებული და კონსტრუქციული ფორმით მიწოდებული. ავტორების თქმით, ზოგ შემთხვევაში იღებენ ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებს, რაც არათუ ეხმარება მათ სახელმძღვანელოს გაუმჯობესებაში, არამედ უფრო აბრკოლებს და კონკურსში მონაწილეობის სურვილს უკარგავს.

„ჩემს პირად მაგალითს მოგიყვებით. სახელმძღვანელოს შეფასება რომ მივიღე, გაოცებული დავრჩი - ერთი რეცენზენტი წერდა, ეს არ შეესაბამება ახალ კურიკულუმსო, ხოლო მეორე სხვა ნაწილში წერდა, რომ დავალება სრულად პასუხობდა პრინციპებს და უმაღლესი ქულით ვიყავი შეფასებული“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ ავტორებისთვის, რომლებსაც გრიფირების პროცესში მონაწილეობის მცირე გამოცდილება აქვთ. ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორი ასევე მიიჩნევს, რომ აუცილებელია, სახელმძღვანელოს შემფასებლები და ავტორები ერთად მუშაობდნენ ხარვეზის აღმოფხვრაზე, თუ ეს წიგნს გრიფირების შანსს შეუნარჩუნებს.

„მე რაც მაკლია, როგორც ახალ ავტორს, არის კომუნიკაცია შემფასებელთან. იქნებ მე უკეთესი იდეა მაქვს ან მას აქვს და ამ კომუნიკაციის შედეგად წიგნი გაუმჯობესდეს. რამდენიმე ისეთი კომენტარი იყო რეცენზენტების მხრიდან, რომ მუშაობის სურვილი საერთოდ დამეკარგა“.

(სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორი)

სახელმძღვანელოს ავტორების პროფესიული განვითარება

რამდენადაც განსხვავებულია სახელმძღვანელოს ავტორის პროფილი, მათი მოტივაცია და მუშაობის სპეციფიკა, იმდენად განსხვავდება მათი საჭიროებებიც სახელმძღვანელოს შინაარსისა და სტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორებს უჭირთ იმ კომპეტენციების დასახელება, რომლებიც მათ შედეგის გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა. მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება, რომლებიც მათი პროფესიული ზრდისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ავტორები საჭიროებენ როგორც საგნობრივი, ასევე გამჭოლი და ტექნიკური კომპეტენციების განვითარებას.

თანამედროვე სწავლების მიდგომების ცოდნა და სიახლეებთან სახელმძღვანელოს ადაპტირების უნარი: ეროვნული სასწავლო გეგმის სწორად დამუშავება და სახელმძღვანელოს აგება თანამედროვე სწავლების მიდგომების შესაბამისად გამოწვევაა როგორც სახელმწიფო ენის, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების სახელმძღვანელოს ავტორებისთვის. ზოგ შემთხვევაში ავტორებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია კონკრეტულ დარგში მიმდინარე სიახლეების, ინოვაციური საშუალებებისა და მეთოდების შესახებ. ასევე საჭიროებენ კონკრეტული ტექნიკების ცოდნას, რაც მათ დაეხმარებოდა, სახელმძღვანელოს ორგანულ ნაწილად ექციათ ყველა ეს სიახლე და მარტივი ფორმით მიეწოდებინათ მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.

„ეროვნული სასწავლო გეგმის კარგად ცოდნა ავტორებს აუცილებლად სჭირდებათ. ჩემი დაკვირვებით, მეცნიერ მუშაკებს ეს ცოდნა არ აქვთ და ეს მათ სახელმძღვანელოებსაც ეტყობა“.

(ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი)

მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება: სახელმძღვანელოების მომზადება, გარდა დარგობრივი ცოდნისა, მოითხოვს სპეციფიკურ კომპეტენციებს, როგორიც არის მოსწავლის ასაკობრივი მახასიათებლების გათვალისწინება ლექსიკისა და სტილის შერჩევის, ცხოვრებისეული მაგალითების, სიტუაციების შერჩევისა და აღწერის მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ავტორების მხარდაჭერა, რომლებსაც არ აქვთ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკა, ნაკლებად იცნობენ მათ საჭიროებებს, ცხოვრების წესს, სწავლის თავისებურებებს.

„ავტორების ნაწილი, რომლებსაც მე ვიცნობ, ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკია. მათ მაინცდამაინც დიდი დახმარება არ სჭირდებათ. თუმცა, მე მიწევს ლიტერატურისა ან რჩევების ძიება, რათა გავარკვიო, ესა თუ ის ნაწარმოები ბავშვებისთვის ზედმეტად რთული, მარტივი ან შეუსაბამო ხომ არ არის. უფრო დალაგებული და მოწესრიგებული ინსტრუქციები კარგი იქნებოდა“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

ონლაინ რესურსების შერჩევა, გამოყენება და ინტეგრირება: პანდემიამ და დისტანციურმა სწავლებამ ხელი შეუწყო სახელმძღვანელოს როლის გადაფასებას მასწავლებლებში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ არ შეცვლილა სახელმძღვანელოთა შემუშავების პოლიტიკა, ახალმა რეალობამ ავტორებს დაუსახა ამოცანა, გაამრავალფეროვნონ წიგნები შესაბამისი მასალებით. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები უკავშირდება ონლაინ რესურსების შერჩევის, მათი ინტეგრირებისა და დაბალანსების ცოდნას ტექსტთან მიმართებით. იმავდროულად, ავტორებს ესაჭიროებათ ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, იმუშაონ ინტერაქციულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე რესურსებზე.

ავტორთა საჭიროებები სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში თანასწორობის და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით

ავტორთა ნაწილი, გარდა გენდერის ან/და ადამიანის უფლებების სპეციალისტებისა, იზიარებს მოსაზრებას, რომ მათთვის გამოწვევაა სახელმძღვანელოს ინკლუზიურობის უზრუნველყოფა ყველა დადგენილი სტანდარტით.

კვლევაში მონაწილე ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორებისთვის გამოწვევაა სასწავლო შინაარსის დამახინჯებისა ან შემცირების გარეშე ძალადობისა და დისკრიმინაციული ენის შემცველი ნაწარმოებების/ნაწყვეტების დამუშავება. კერძოდ, როდესაც ესა თუ ის ნაწარმოები შეიცავს ძალადობის ენას, ავტორი იღებს რეკომენდაციას, ჩაანაცვლოს გამოყენებული ნაწყვეტი, ან შეცვალოს ტექსტი და მოარგოს სტანდარტს. ავტორების თქმით, ეს ამახინჯებს მხატვრული ტექსტის ღირებულებას და ართულებს მისი შექმნის კონტექსტის გააზრებას.

„ე.წ. სავალდებულო ლიტერატურის გამოყენების დროს მოგვსვლია რეკომენდაცია, რომ ამოვიღოთ ძალადობის შემცველი სცენა, არ გამოვიყენოთ დისკრიმინაციული ტერმინები, მაგალითად, „თათარი“ და ა.შ. თუმცა, როგორ უნდა ასწავლო მხატვრული ტექსტი, თუ ყველაფერს გამოაცლი. არავის უთქვამს, რა დოზით არის მიზანშეწონილი, მაგალითად, ნაწყვეტების ამოღება და „დაფორმატება“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

ასეთ შემთხვევებში ერთ-ერთი კომპრომისული გადაწყვეტილებაა სარედაქციო, ე.წ. კრიტიკული კომენტარი, რომელიც აღწერს ამა თუ იმ ცნების, ნაწყვეტის კონტექსტს, ხაზს უსვამს მისი გამოყენების მხატვრულ დატვირთვას, გმობს ძალადობას, ან/და ხსნის, რომ კონკრეტული ტერმინის გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან ხელს უწყობს რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციას ან ძალადობრივი ენის გავრცელებას. თუმცა, ავტორების თქმით, არ არის განსაზღვრული შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, როგორ დაამუშაონ ტექსტი, ამიტომ, ძირითადად, ნაწარმოების შეცვლისა ან ნაწყვეტის ამოღების გადაწყვეტილებას იღებენ.

კვლევის მონაწილე საზოგადოებრივი მეცნიერების სახელმძღვანელოების ავტორები აღნიშნავენ, რომ მათი ნამუშევრების შინაარსი მოიცავს იმ თემების დამუშავებას, რომელთა მიმართაც განსაკუთრებით მაღალია საზოგადოების მგრძნობელობა (რელიგია, კულტურა, ომები, პიროვნება და საზოგადოება და ა.შ.). ამასთან, კვლავ გავრცელებულია ფაქტების ვიწრო ეთნიკური და ნაციონალისტური პერსპექტივით აღწერის, ეთნიკური მრავალფეროვნების საკითხის არასწორად განმარტების, უმცირესობებისგან მტრის ხატის შექმნისა ან მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ღვაწლის არასათანადოდ წარმოჩენის შემთხვევები.[2]

„ჩვენ ამ თემებზე [დისკრიმინაცია, თანასწორობის პრინციპები] მივიღეთ გარკვეული რეკომენდაციები და სახელმძღვანელოში შესაბამისი დეტალები შევცვალეთ, მაგრამ იმდენად გვაქვს ავტორებსაც გამჯდარი ერთი ამბის მოყოლა, ვაღიარებ, რთულია ხანდახან ნეიტრალობის შენარჩუნება. თუმცა, ალბათ ამას განზრახ არავინ აკეთებს“.

(ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი)

[2] საიას კვლევა „თანასწორობის პოლიტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში“ (2020).

რესპონდენტებმა დაასახელეს თემები, რომლებთან მიმართებითაც ყველაზე მაღალია მცდარი ინტერპრეტაციების, სტერეოტიპების გამყარების, ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა და სიძულვილის ენის წახალისების შემთხვევები და რომლებზეც ავტორებს დამატებითი მუშაობა ესაჭიროებათ. ესენია:

- *გენდერი და გენდერული თანასწორობა;*
- *ძალადობა, ბულინგი, კონფლიქტები;*
- *საკუთარი თავის აღქმა სამყაროში;*
- *სექსუალური განათლების ელემენტები;*
- *ეთნიკური უმცირესობები და მრავალფეროვნება;*
- *საქართველო საბჭოთა კავშირში და საბჭოთა მემკვიდრეობა;*
- *თანამედროვე საქართველოს ისტორია , რუსეთ-საქართველოს ომი და პროპაგანდა;*
- *სახელმწიფო, სოციალური სისტემები და სტრუქტურები, სოციალური უთანასწორობა;*
- *პოლიტიკური იდეოლოგიები, რადიკალიზმი.*

„მე ახალბედა ავტორი ვარ და არ ვიცი, რა როგორ იყო, ან - უნდა იყოს, თუმცა ჩემთვის მნიშვნელოვანია ისეთი თემების სწორად, მრავალმხრივად აღწერა, როგორიცაა პოლიტიკური იდეოლოგიები, მმართველობის ფორმები და სხვა. მართებულად არ მიმაჩნია გავრცელებული მიდგომა, რომ არ ვასწავლოთ დიქტატურა, ვინაიდან ის ცუდია. პირიქით, ჩვენ უნდა ვასწავლოთ ის იმგვარად და იმიტომ, რომ მოსწავლემ თავად შეაფასოს, რა და რატომ არის ცუდი“.

(სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორი)

ავტორების მიერ დასახელებული კომპეტენციები ან უნარები, რომელთა განვითარებასაც ისურვებდნენ, აერთიანებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- სწორი ტერმინოლოგიის შერჩევა და გამოყენება;
- სანდო წყაროების მოძიება და გამოყენება;
- ინკლუზიური და ნეიტრალური აღწერის ტექნიკების გამოყენება;
- გენდერულად დაბალანსებული შინაარსის შექმნა;
- პოზიტიური დისკრიმინაციის პრევენცია.

„მუდმივად პრობლემაა, რა ტერმინი გამოვიყენოთ, რამე ხომ არ შეიცვალა და ამის გამო ქულებს ხომ არ დავკარგავთ. მე მეხმარება ჩემი ძირითადი პროფესია [იურისტობა], რომ ამა თუ იმ საკითხში გავერკვე, მაგრამ ბევრი ავტორისგან მსმენია მსგავსი წუხილი“.

(სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორი)

„გვესმის და ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ტექსტები უნდა იყოს ნეიტრალური, გენდერულად დაბალანსებული, თუმცა სულ ეს კითხვა მაქვს - როგორ? როგორ გამოვასწორო ის შეცდომა, რომელიც დავუშვი, რა წყაროს დავეყრდნო მუშაობის დროს, ან როგორ გადავამუშაო ჩემ მიერ არასწორად მიწოდებული შინაარსი“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს ავტორი)

ავტორთა მიერ დასახელებული კომპეტენციების საჭიროებების გარდა, აღმოჩნდა, რომ ცალკეული თემების მიმართ შედარებით დაბალია ზოგიერთი მათგანის მგრძნობელობა. მართალია, ავტორები, ერთი მხრივ, ეთანხმებიან საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებს, როგორიცაა: „ყველა ადამიანი თანასწორია“, „ყველა ინდივიდს სჭირდება დიფერენცირებული მიდგომა პოტენციალის გამოსავლენად“, თუმცა ამას აღწერენ, როგორც „თავსმოხვეულს“, „ახალ ტრენდს“, ან გამოხატავენ ცხად უნდობლობასა და სარკაზმს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით ხშირად ვლინდება გენდერულ საკითხებზე, სექსუალური უმცირესობებისა და განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებზე მსჯელობისას.

„რა თქმა უნდა, არ ვდავობთ, რომ უმცირესობები ჩვენი მოქალაქეები არიან, მაგრამ, რომ დავფიქრდეთ, დღეს ჩვენ უფრო ვართ უმცირესობაში [ქართველები]“.

(ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)

მიუხედავად ავტორების ნაწილის მხრიდან მათ საჭიროებებზე ღიად საუბრისა, აღსანიშნავია, რომ, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, დაბალია ადამიანის უფლებების დაცვისა ან სხვა მსგავსი თემატური პროფილის ორგანიზაციების შესახებ ცნობადობა, მით უფრო, მათთან თანამშრომლობის პრაქტიკა. ზოგიერთი ავტორი იცნობს ამ მიმართულებით სახალხო დამცველის, ასევე ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის საქმიანობას, თუმცა რაიმე რჩევისთვის მათთვის არ მიუმართავს. ცალკეულ შემთხვევებში ავტორები გამოხატავენ ნეგატიურ განწყობას ამ პროფილის ორგანიზაციების მიმართ.

„[...] გენდერი იქცა ტრენდულ სიტყვად და ყველას პირზე აკერია, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რეალურად, საქართველოში გენდერულ უთანასწორობასა ან რამე სხვა უფლებების დარღვევაზე ვინც ჩივის. ამისთვის იღებენ შემოსავალს და ბევრად უკეთესსაც, ვიდრე ჩვენ, ავტორები“.

(ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს ავტორი)

ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, რომ, ცხადია, ავტორების იდეოლოგია და შეხედულებები განსხვავებულია, მაგრამ მათ მიერ გამოხატული პოზიცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უნივერსალურობასა და საყოველთაობაზე უნდა იყოს მკაფიო და არ ტოვებდეს სივრცეს სტერეოტიპების, სტიგმის და სიძულვილს ენის გავრცელებისთვის.

„ვიმსჯელოთ იდეოლოგიებზე, მართვის ფორმებზე, ომებზე, ყველაფერზე, მაგრამ მგონია, რომ საბაზისო საფუძვლები, რასაც უწოდებენ common grounds, უნდა გვაერთიანებდეს ყველას და ეს არის ადამიანი და ადამიანის უფლებების უნივერსალობა [...]“

(სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოს ავტორი)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ავტორების ტექნიკურ კომპეტენციებზე ზრუნვისა ან საჭირო ცოდნით აღჭურვის პროცესი არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინსტრუქტაჟით, არამედ ის ასევე უნდა მოიცავდეს მათი მგრძნობელობის გაზრდისა და პრობლემის რეალური არსის გარკვევის შესაძლებლობებსაც. ამ მიზნით კი აუცილებელია შესაბამისი პროფილის ორგანიზაციების მიზნობრივი და პრაქტიკული მუშაობა როგორც უშუალოდ ავტორებთან, ასევე რედაქტორებთან.

ძირითადი რეკომენდაციები

COVID-19-ის პანდემიის პირობებში დისტანციურმა სწავლებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სახელმძღვანელოების როლის გადაფასებაზე. ეს საკითხი არაერთხელ გახდა დისკუსიის საგანი. საგულისხმოა, რომ ტრადიციული თუ ნებისმიერი სხვა ფორმით სახელმძღვანელოების მომზადების მიუხედავად, საჭიროა იმ ადამიანური რესურსის განვითარება, რომელიც უპასუხებს როგორც არსებულ, ისე მოსალოდნელ გამოწვევებს.

წარმოდგენილი პრაქტიკული რეკომენდაციები ორიენტირებულია სახელმძღვანელოსა და, ზოგადად, სასწავლო დამხმარე რესურსების შექმნის არსებული მიდგომების გაუმჯობესებაზე, მაღალი პროფესიული ეთიკისა და კომპეტენციის ავტორების მოზიდვაზე, ავტორობის, როგორც საინტერესო პროფესიული შესაძლებლობის წარმოჩენაზე პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

სახელმძღვანელოს ავტორობის, როგორც მიმზიდველი პროფესიული შესაძლებლობის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- **სახელმძღვანელოების ავტორების ანაზღაურების გაზრდა და მოქნილი სამუშაო პირობების შეთავაზება:** ავტორების მოზიდვა და პროცესში მათი დროის რესურსისა და ძალისხმევის გაზრდა შეუძლებელი იქნება შესაბამისი ანაზღაურების შეთავაზების გარეშე, მით უფრო, შეზღუდული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

საბაზისო ჰონორარის გაზრდის გარდა, სასურველია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადახედოს ჰონორარის გაცემის წესსაც და გაითვალისწინოს ავტორის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობა, კერძოდ, მომზადებული თემების რაოდენობა კლასების მიხედვით.

მეორე მხრივ, ავტორებისთვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნის, მათ შორის, ანაზღაურების მიღების მიზნით, მნიშვნელოვანია **ელექტრონული რესურსების ბანკის განვითარება,** რომელიც შეივსება ავტორთა მიერ ჰონორარის სანაცვლოდ მომზადებული კომპლექსური დავალებებით, ცალკეული თემებით/თავებით და სხვა დამხმარე მასალით როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი პრაქტიკის დანერგვის მცდელობაა პლატფორმის - www.el.ge განვითარება და ინტეგრირება მოსწავლეების Microsfot TEAMS-ის სასწავლო პორტალზე. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის პანდემიის პირობებში არაერთი რესურსი შეიქმნა და განთავსდა ამ პლატფორმაზე, არა მხოლოდ სამინისტროს ინიციატივით, არამედ ასევე სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით.[3]

- **ავტორების პროფესიული ერთობის/სივრცის ჩამოყალიბება:** მნიშვნელოვანია, რომ სახელმძღვანელოებსა და სასწავლო რესურსებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის არსებობდეს პროფესიული თანამშრომლობის სივრცე, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, გააზიარონ და მიიღონ რეკომენდაციები, წამოიწყონ ერთო-

[3] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF), განათლების კოალიციასა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლობით ინიცირებული პროექტის „ისკოლის“ ფარგლებში, პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ორგანიზებულ სასწავლო პროცესში ჩართვისთვის შეიქმნა და ვებგვერდზე - htt s://www.el.ge/ განთავსდა კომპლექსური საშინაო დავალებების კრებულები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით.

ბლივი ინიციატივები, პროაქტიულად შესთავაზონ სამინისტროსა და სხვა მხარეებს საკუთარი იდეები, ასევე ხელი შეუწყონ ამ სექტორში პროფესიული ეთიკისა და სტანდარტების დამკვიდრებას. გარდა ამისა, ამ პლატფორმის შექმნა წაახალისებდა საქართველოში სასკოლო სახელმძღვანელოების, სასწავლო რესურსების, ინოვაციური სწავლა-სწავლების მიდგომების შესახებ ვორქშოპებისა და კონფერენციების კულტურის განვითარებას.

- **სახელმძღვანელოსა და სასწავლო რესურსების ავტორობის, როგორც პროფესიული/კარიერული შესაძლებლობების წარმოჩენა უმაღლესი პროფესიული პროგრამების ფარგლებში:** გავრცელებულია მოსაზრება, რომ სკოლის დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის კარიერული და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია. მეორე მხრივ, როგორც საუნივერსიტეტო პროგრამებში, ისე საჯარო რიტორიკაში სახელმძღვანელოს ავტორობა და სასწავლო რესურსებზე მუშაობა პროფესიულ და კარიერულ შესაძლებლობად არ განიხილება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, როგორც სასწავლო საუნივერსიტეტო პროგრამების ფარგლებში, ასევე მასწავლებლის პროფესიის შესახებ დისკუსიის დროს მკაფიოდ აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ავტორობა და სასწავლო მასალების შექმნაზე მუშაობა არის მასწავლებლის პროფესიული კარიერის ერთ-ერთი ძირითადი ან დამატებითი საქმიანობა.

ავტორების ცნობიერების ამაღლებისა და კომპეტენციების განვითარების მიმართულებით სასურველია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- **საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება:** თანამედროვე სწავლა-სწავლების მიდგომების, ასევე სახელმძღვანელოების ადაპტირების ტექნიკის შესწავლის ერთ-ერთი საუკეთესო გზა უკვე არსებული გამოცდილების გაზიარებაა. ამ მხრივ, ქართველ ავტორებსა და ავტორობის მსურველებს ძალიან დაეხმარებოდა უცხოელი კოლეგების მუშაობის პრაქტიკის გაცნობა სალექციო ან შერეული სასწავლო პროგრამების, მათ შორის, საზაფხულო სკოლების ფარგლებში.

- **თემატური სამუშაო შეხვედრები და სემინარები სახელმძღვანელოების ინკლუზიურობის უზრუნველყოფისთვის:** თანასწორობის პრინციპების დაცვისა და ინკლუზიურობის მიმართულებით არსებული გამოწვევები მიუთითებს ამ კუთხით სახელმძღვანელოს ავტორებისთვის როგორც საჯარო, ისე ტექნიკური ხასიათის შეხვედრების ორგანიზების აუცილებლობაზე. საჯარო ღონისძიებები მნიშვნელოვანი იქნებოდა ავტორებისთვის საერთო ღირებულებათა სისტემის გაზიარებისთვის, ხოლო ტექნიკური და სამუშაო შეხვედრები დაეხმარებოდა მათ ტექსტების ადაპტირებაში, დავალებებისა და შინაარსის სწორად ორგანიზებაში, მათ შორის, სანდო ინფორმაციისა და სწორი ტერმინოლოგიის შერჩევაში.

- **ონლაინ სასწავლო რესურსების გამოყენება, შექმნა და ინტეგრირება სახელმძღვანელოსთან:** სახელმძღვანელოების ავტორების პროფესიული გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია ონლაინ რესურსებთან მუშაობის პრაქტიკის განვითარება, მათ შორის, ინტერაქციული ელექტრონული ტექსტების, ვიდეო-აუდიო მასალების შექმნის მიმართულებით. ეს, ერთი მხრივ, დაეხმარება მათ, გაუმკლავდნენ დისტანციური სწავლების გამოწვევებს და, მეორე მხრივ, მოემზადონ ციფრული სახელმძღვანელოების შექმნის პროცესისთვის, რაც, სპეციალისტების შეფასებით, გარდაუვალი იქნება.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს რეკომენდაცია ითვალისწინებს როგორც სახელმწიფოს ინტერვენციას, ასევე საზოგადოებრივი და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის ფორმატის შემუშავება და ამ მიმართულებით განსახორციელებელი საქმიანობის კოორდინირებული და ეფექტიანი მართვა, განსაკუთრებით, ავტორების წახალისების, მათთვის პროფესიული გზამკვლევებისა და განვითარების სხვა შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით.

კვლევის ინსტრუმენტი

ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი

I ნაწილი - სახელმძღვანელოს შექმნის პროცესი - ძირითადი გამოწვევები

ხშირად საუბრობენ და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც ცხადყოფს, რომ სახელმ-ძღვანელოს ავტორობა დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რაც ზოგ შემ-თხვევაში სახელმძღვანელოს ხარისხზე ნეგატიურად აისახება.

1. თქვენ, როგორც ავტორი, როგორ შეაფასებდით, რა არის სახელმძღვანელოს ავტორობასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი გამოწვევები?
    a. ავტორების კომპეტენციები
    b. თუ დაბალია კომპეტენციები, რატომ?
    c. მხარდაჭერა სახელმწიფოს/სხვა აქტორების მხრიდან

2. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რა იყო თქვენი მოტივაცია, გამ-ხდარიყავით სახელმძღვანელოს ავტორი?
    a. როგორი იყო თქვენი მოლოდინები სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესის მიმართ?
    b. რამდენად დაემთხვა/არ დაემთხვა რეალური გამოცდილება თქვენს მოლოდინებს?

3. გთხოვთ აღწეროთ სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი: რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევები, რომლებიც შეგხვდათ მუშაობის პროცესში, როგორც ავტო-რს?
    a. პროცესის ადმინისტრირება და სამუშაო პირობები
    b. ანაზღაურება
    c. მხარდაჭერა პროფესიული/ადმინისტრაციული
    d. თანამშრომლობა
    e. გაზიარების და peer review შესაძლებლობა
    f. დამატებით რესურსთან ხელმისაწვდომობა
    g. შინაარსის ადაპტირება კურიკულუმთან
    h. სხვა

4. სახელმძღვანელოზე მუშაობის/რედაქტირების პროცესში თუ იღებდით მხარდაჭერას სამინისტროს/რედაქტორის/კოლეგებისგან? რა ტიპის მხარდაჭერას იღებდით (როგორც შინაარსობრივი/ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისით)?

    a. პროფესიული/კომპეტენციების კუთხით გამართული ვორქშოპი-ტრენინგი

    b. Peer review

    c. დამატებითი რესურსები

    d. ტექნიკური/ადმინისტრაციული მხარდაჭერა

    e. მოქნილი სამუშაო პირობები

    f. სხვა

5. რა ტიპის დახმარება ვერ მიიღეთ, ან ისურვებდით რომ დამატებით მიგეღოთ მუშაობის პროცესში?

6. რამდენად გქონდათ მუშაობის პროცესში, გარე აქტორებთან ურთიერთობა?

    a. მასწავლებლები

    b. არასამთავრობო ორგანიზაციები

    c. დარგობრივი ექსპერტები

    d. სხვა

    გთხოვთ, აღწეროთ რატომ და როგორ თანამშრომლობდით ამ მხარეებთან

II ნაწილი - სახელმძღვანელოს ინკლუზიურობა

აქ ყურადღება გამახვილებულია სახელმძღვანელოს შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმზე, რომელიც გულისხმობს სახელმძღვანელოს თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას:

7. გთხოვთ გაიხსენოთ, მუშაობის პროცესში რამდენად კეთდებოდა აქცენტი სახელმძღვანელოს შინაარსის/ენის შერჩევის დროს შესაძლო დისკრიმინაციისა და არაინკლუზიური მიდგომების იდენტიფიცირებაზე/აღმოფხვრაზე?

    a. მიიღეთ თუ არა ამ საკითხების შესახებ კონკრეტული რჩევები?

    b. მიიღეთ თუ არა გზამკვლევი/რეკომენდაციები/ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც შეიძლებოდა დაგხმარებოდათ ამ მიმართულებით?

    c. თქვენ, როგორც ავტორი, როგორ ცდილობდით ინკლუზიური და ყველა სახის დისკრიმინაციისგან თავისუფალი შინაარსის შექმნას?

8. გთხოვთ, აღწეროთ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები სახელმძღვანელოების ინკლუზიური პრინციპით აგებასა და სენსიტიური, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემებზე მუშაობასთან დაკავშირებით?

    a. რაიმე მაგალითებს ხომ ვერ გაიხსენებდით?

9. გთხოვთ, გაიხსენოთ, თუ გქონდათ შემთხვევა, როდესაც დაგჭირდათ რჩევა სახელმძღვანელოში თანასწორობის პრინციპების დაცვის ან/და დისკრიმინაციის შესაძლო შემთხვევის იდენტიფიცირებასთან/რეაგირებასთან დაკავშირებით:

    a. როგორ მოიძიეთ საჭირო ინფორმაცია?

    b. ვის მიმართეთ დახმარებისთვის?

    c. რამდენად მოგვარდა/არ მოგვარდა ეს პრობლემა სახელმძღვანელოში?

10. გაქვთ თუ არა ადამიანის უფლებების დამცველ, გენდერულ, ეთნიკურ და სხვა თემატურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში?

    a. თუ გახსენდებათ ასეთი ორგანიზაციები/პირები, რომლებიც, თქვენი აზრით, საჭირო დახმარებას აღმოგიჩენდნენ?

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგიერთი საგნის, საბაზო საფეხურის VII და VIII კლასების ზოგიერთი საგნისა და IX კლასის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით სარგებლობის უფლების შეძენისთვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა და გადახდის სტრუქტურა[4]

№	საგანი	კლასი	A	B	G1	G2	G3
1	**ქართული ენა და ლიტერატურა**	**IX**	1 x 20 000	0	4	0	0
2	**მათემატიკა**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
3	**ისტორია**	**IX**	1 x 30000	0	4	0.3	0
4	**გეოგრაფია**	**VIII**	1 x 30000	0	4	0.3	0
		IX	1 x 30000	0	4	0.3	0
5	**მოქალაქეობა**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
6	**ბიოლოგია**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
7	**ფიზიკა**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
8	**ქიმია**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
9	**პირველი უცხოური ენა -ინგლისური**	**IX**	1 x 30000	3000	4	0.3	0
10	**მეორე უცხოური ენა - რუსული**	**VIII**	1 x 30000	3000	4	0.3	0
		IX	1 x 30000	3000	4	0.3	0
11	**მეორე უცხოური ენა - გერმანული**	**IX**	1 x 30000	3000	4	0.3	0
12	**მეორე უცხოური ენა - ფრანგული**	**IX**	1 x 30000	3000	4	0.3	0
13	**ქართული, როგორც მეორე ენა**	**VII**	1 x 30000	3000	4	0.3	0
		VIII	1 x 30000	3000	4	0.3	0
		IX	1 x 30000	3000	4	0.3	0
14	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება**	**IX**	1 x 20000	0	4	0	0
15	**მუსიკა**	**IX**	1 x 20000	3000	4	0	0
16	**ფიზიკური აღზრდა და სპორტი**	**IX**	1 x 10000	0	0	0	2.5
17	**აფხაზური ენა და ლიტერატურა**	**I-IV**	4 x 30000	0	3.5	0	0
		V-VI	2 x 30000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0
		IX	1 x 20000	0	4	0	

18	**რუსული, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა**	**I-IV**	4 x 30000	0	3.5	0.25	0
		V-VI	2 x 20000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0
		IX	1 x 20000	0	4	0	0
19	**სომხური, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა**	**I-IV**	4 x 30000	0	3.5	0.25	0
		V-VI	2 x 20000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0
		IX	1 x 20000	0	4	0	0
20	**აზერბაიჯანული, როგორც მშობლიური ენა და ლიტერატურა**	**I-IV**	4 x 30000	0	3.5	0.25	0
		V-VI	2 x 20000	0	4	0	0
		VII	1 x 20000	0	4	0	0
		VIII	1 x 20000	0	4	0	0
		IX	1 x 20000	0	4	0	0

1	**კომპონენტების ანოტაცია:**
1.1.	**კომპონენტი A** - საბაზისო ჰონორარი, რომელიც არის ფიქსირებული, ერთჯერადად გასაცემი თანხა და ეფუძნება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
1.2.	**კომპონენტი B** - დამატებითი ფიქსირებული ჰონორარი კომპლექტში შემავალი მასწავლებლის წიგნის ელექტრონული რესურსისთვის.
1.3.	**კომპონენტი G1** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლარისთვის.
1.4.	**კომპონენტი G2** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მოსწავლის რვეულის ნაბეჭდი ეგზემპლარისთვის.
1.5.	**კომპონენტი G3** - მაქსიმალური ზღვრული ჰონორარი მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლარისთვის იმ საგნებში/კლასებში, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით.
2	ჰონორარი (გარდა იმ სახელმძღვანელოებისა, რომელთა კომპლექტი წარმოდგენილია მხოლოდ მასწავლებლის წიგნით) მოიცავს მასწავლებლის წიგნის ნაბეჭდი ეგზემპლარისთვის გასაცემ თანხასაც.

3	საავტორო უფლებების შესყიდვის ფასი (კომპონენტი “G1”, “G2”, “G3”) დადგინდება გრიფის მინიჭების შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის“ მე-8 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული განმცხადებლის მიერ, წარდგენილი ფასდაკლების (პროცენტული) ოდენობის მიხედვით.
4	საავტორო უფლების შესყიდვის ფასის (კომპონენტი „G1“) გადახდა მოხდება (შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულების დადების შემდეგ) ავანსის სახით, თითოეული კლასის მოსწავლის წიგნის 5000 ეგზემპლარზე გაანგარიშებით. გადახდა მხედველობაში მიიღება (გამოიქვითება) ყოველწლიური ჰონორარის ოდენობიდან.
5	ჰონორარი წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.